



საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის #038/14¹ გადაწყვეტილების მოკლე მიმოხილვა

გვანცა მაისურაძე (სტუდენტი)

1. საქმის ფაქტები:

ადვოკატი იცავდა საჩივრის ავტორის პროცესუალური მოწინააღმდეგის, მისი ძმის ინტერესს მათ შორის სამკვიდროს გაყოფასთან დაკავშირებით წარმოშობილ სამემკვიდრეო დავაში. მის ძმასთან ბინის წილის შესყიდვის თაობაზე მოლაპარაკებები უშედეგოდ მთავრდებოდა ადვოკატის პირადი დაინტერესების გამო. საჩივრის ავტორის პროცესუალურმა მოწინააღმდეგე მხარემ სადავო ბინის 1/2 ნაწილი მიყიდა მესამე პირს, რომლისგან აღნიშნული ბინა შეიძინა ადვოკატმა. ადვოკატმა საბოლოოდ ქონება იპოთეკით დატვირთა.

2. პროცედურული ისტორია:

ეთიკის კომისიას საჩივრით მიმართა კლიენტის პროცესუალურმა მოწინააღმდეგემ, მისმა დამ და მოითხოვა ადვოკატისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება. ეთიკის კომისიამ იმსჯელა ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის პირველი მუხლის მეორე პუნქტი; მე-5 მუხლის „ა“ ქვეპუნქტი და მე-6 მუხლის პირველი პუნქტი; ასევე ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილი და მე-5 მუხლის შესაძლო დარღვევასთან დაკავშირებით.

3. სამართლებრივი შეფასება:

ადვოკატმა, როგორც თავისუფალი პროფესიის წარმომადგენელმა, კანონიერების პრინციპის დაცვით, ყველაფერი უნდა გააკეთოს კლიენტის საუკეთესო ინტერესების დასაცავად. ადვოკატსა და კლიენტს შორის რწმუნებულების გაფორმების ან/და დავალების ხელშეკრულების საფუძველზე ადვოკატი იღებს ვალდებულებას კლიენტის სახელით და მის ნაცვლად განახორციელოს ყველა ის საპროცესო მოქმედება, რაც საქმის წარმოების პროცესში იქნება აუცილებელი. ადვოკატს წარმოეშობა ვალდებულებები სათანადოდ დაიცვას და წარმოადგინოს კლიენტის ინტერესები მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში. კლიენტის ინტერესების უპირატესობის პრინციპი საადვოკატო საქმიანობაში ერთ-ერთი მთავარი სახელმძღვანელო პრინციპია, ვინაიდან ადვოკატი, როგორც კლიენტის საუკეთესო ინტერესების დამცველი, კლიენტის ინტერესებს პირად და სხვა პირთა ინტერესებზე მაღლა უნდა აყენებდეს.

კლიენტის ინტერესების დასაცავად ადვოკატს არა თუ უფლება აქვს, არამედ ვალდებულია გამოიყენოს ყველა საშუალება, რაც არ არის აკრძალული კანონით და პროფესიული ეთიკის ნორმებით. ამასთან, ადვოკატისა და კლიენტის ურთიერთობა უნდა იყოს ორიენტირებული კლიენტზე და მიზნად ისახავდეს კლიენტის საუკეთესო ინტერესების დაცვას. კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე ადვოკატმა კლიენტს უნდა ურჩიოს საქმის მორიგებით დასრულება, მაგრამ ადვოკატი, როგორც თავისუფალი პროფესიის წარმომადგენელი, თავად ირჩევს კლიენტის დაცვის სტრატეგიას ყოველი კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე. განსახილველ შემთხვევაში ადვოკატი ახორციელებდა საჩივრის ავტორის ძმის

¹ <https://www.gba.ge/pdf/5c4721bf30a6f.pdf/5c4721bf30a6f.pdf>

წარმომადგენლობას დასა და ძმას შორის არსებულ სამემკვიდრო დავაში. ადვოკატის მარწმუნებელს ადვოკატის მიერ განხორციელებულ ქმედებასთან დაკავშირებით პრეტენზია არ აქვს. საადვოკატო საქმიანობის არსი და პროფესიული ბუნება ორიენტირებულია კლიენტის ინტერესების დაცვაზე; ადვოკატი, საკუთარი კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე, ყოველთვის ატარებს პროცესუალური მოწინააღმდეგე მხარის საპირისპირო ინტერესს. შესაძლებელია მოწინააღმდეგე მხარეს არ მოსწონდეს ის მეთოდი, რომლითაც ადვოკატი თავის კლიენტს იცავს, მაგრამ დაცვის სტრატეგიის არჩევა ადვოკატისა და მისი კლიენტის შეთანხმებით ხორციელდება. ეთიკის კომისიამ დაადგინა, რომ საჩივრის ავტორსა და მის ძმას შორის დამაბული ურთიერთობა იყო სამკვიდროს თაობაზე საქმეში ადვოკატის ჩართვამდე, ამიტომაც, ეთიკის კომისიამ არ გაიზიარა საჩივრის ავტორის მითითებას იმის თაობაზე, რომ ადვოკატმა ხელი შეუშალა მასსა და მის ძმას შორის სადავო საკითხთან დაკავშირებით მორიგებას.

რაც შეეხება ადვოკატის მიერ ქონების 1/2-ს შეძენა ეთიკის კომისიამ მიუთითა, რომ მის კომპეტენციას სცილდება შეაფასოს ორ ფიზიკურ პირს შორის დადებული გარიგების შინაარსი და მისი სამართლებრივი შედეგები, ამასთან დაადგინოს გარიგების ერთი მხარე რატომ ითხოვდა მეორისაგან უკვე შესყიდული ქონების გამოსყიდვას; ეთიკის კომისია ვერ შეაფასებს გარიგების ნამდვილობის საკითხს.

4. დასკვნა:

ეთიკის კომისიამ ჩათვალა, რომ არ დარღვეულა ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის პირველი მუხლის მეორე პუნქტი; მე-5 მუხლის „ა“ ქვეპუნქტი და მე-6 მუხლის პირველი პუნქტი; ასევე ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილი და მე-5 მუხლი, რის გამოც ადვოკატს არ დაეკისრა დისციპლინური პასუხისმგებლობა.